საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 452 2019 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ეკონომიკური დაგეგმარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №461 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ეკონომიკური დაგეგმარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №461 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ეკონომიკური დაგეგმარების დეპარტამენტის დებულების“:

ა) მე-4 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. **საფინანსო სამმართველო,** რომელიც უზრუნველყოფს:“;

ა.ბ) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს მეორადი საქონლის აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებასა და საფინანსო სამმართველოსათვის მიწოდებას;“;

ა.გ) მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ახორციელებს კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით შემოსული (ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, დასუფთავებისა და ბუნებრივი აირის) დოკუმენტების (ქვითრების) შესაბამისობის დადგენას რეალურ ხარჯებთან და თანხის გადარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის საფინანსო სამმართველოსათვის დროულ მიწოდებას;“;

ა.დ) მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ[1]“ ქვეპუნქტი:

„ნ[1]) კომპეტენციის ფარგლებში, წარმართავს და ზედამხედველობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ქონების სხვადასხვა ფორმით გადაცემასთან და მიღებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს;“;

ა.ე) მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ[1]“ – „ჟ[3]“ ქვეპუნქტები:

„ჟ[1]) უზრუნველყოფს არსებული სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხვას და, კომპეტენციის ფარგლებში, განაწილებას;

ჟ[2]) უზრუნველყოფს, კომპეტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების

შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლს;

ჟ[3]) უზრუნველყოფს, ავტოპარკის განახლების მიზნით, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების შესაბამისად, შესასყიდი ავტომანქანების პარამეტრების განსაზღვრას;

ჟ[4]) უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერის დოკუმენტაციის მომზადებას;

ჟ[5]) უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სწორი ექსპლუატაციის პერიოდულ მონიტორინგს და შესაბამის რეაგირებას გამოვლენილ ხარვეზებზე;

ჟ[6]) უზრუნველყოფს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობას;

ჟ[7]) უზრუნველყოფს, შესაბამისი მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე, ავტომანქანების პირველად რეგისტრაციას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უკვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების განხორციელებას;

ჟ[8]) ახორციელებს, ავტოტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიცირებას სპეციფიკაციის გათვალისწინებით;

ჟ[9]) უზრუნველყოფს შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებულად ყველა კლასიფიცირებული ჯგუფისათვის

შესაბამისი ტექნიკური დავალებებისა და პრეისკურანტების მომზადებას და სხვა სატენდერო თუ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრას;";

ა.ვ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

გიორგი გახარია